

ვალერიან მატოველი
გიორგი დავითაშვილი

პოლიტიკურ და
სამართლებრივ
მოძღვრებათა
ცეტრისა

(ლექციების კურსი)

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი

1999

მისი აზრით, ხელისუფლების დანაწილება მოსახერხებელია კონსტიტუციურ მონარქიაში, სადაც საკანონმდებლო ხელისუფლება ხელთ უპყრია ხალხის წარმომადგენლობით ორგანოს, მეფეს - აღმასრულებელი ხელისუფლება, ხოლო ნაფიც შვაჯულთა სასამართლოს - სასამართლო ხელისუფლება. მონტესკიეს მოთხოვნა, შემოედოთ საფრანგეთში კონსტიტუციური მონარქია და დაენაწილებინათ ხელისუფლება, ფაქტობრივად, საფრანგეთის აბსოლუტური მონარქიის უარყოფას ნიშნავდა. სწორედ აქ უნდა ვხედავდეთ მონტესკიეს პროგრესულობას. მონტესკიეს მოძღვრებამ ხელისუფლების დანაწილების თაობაზე ბევრი მიმდევარი გაიჩინა. ვოლტერი მას „გონების და თავისუფლების კოდექსის“ უწოდებდა. მონტესკიეს ხელისუფლების დანაწილების თეორია აისახა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის აქტებში 1789-1791 წლებში.

§3. რუსოს პოლიტიკურ-სამართლებრივი შეხედულებანი

მონტესკიესთან შედარებით უფრო რადიკალური პროგრმით გამოდის დიდი ფრანგი განმანათლებელი უან-უაკ რუსო (1712-1778).

უან-უაკ რუსო დაიბადა უენევაში - მესაათის ოჯახში. 16 წლისამ დატოვა მშობლიური ქალაქი და მრავალი წლის განმავლობაში დაეხეტებოდა შვეიცარიასა და საფრანგეთში ისე, რომ რაიმე გარკვეული სპეციალობა არ ჰქონია. სარჩოს შოულობდა სხვადასხვა გზით. იყო მუსიკოსი, მსახური, სახლის მდივანი, ნოტების გადამწერი და სხვ. რუსო გვევლინება საფრანგეთის წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგად, რომლის იდეებმა დიდი როლი შეასრულეს საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის მომზადებისა თუ მიმდინარეობის პროცესში. რუსოს პირველი წარმატება მოუტანა კონკურსისათვის წარდგენილმა ნაშრომმა: „ხელს უწყობს თუ არა მეცნიერებისა და ხელოვნების აღმავლობა ჩვევების (მორალის) გაუმჯობესებას? გარდა ამისა, ცნობილია რუსოს შემდეგი შრომები „ადამიანთა შორის უთანასწორობის წარმოშობა და მათი მიზეზები“. „ახალი ელიოზა“, „ემილი ანუ აღზრდის შესახებ“ (1762). „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“ (1762). რუსოს შრომებში მოცემულია ფეოდალური ჩაგვრის, თვითნებობის, მეფის ხელისუფლების დესპოტიზმისა და ჩამორჩენილობის

წინააღმდეგ მგზნებარე პროტესტი.

თავის პირველ შრომაში რუსო იცავდა პარადოქსულ თეზისს: მეცნიერებასა და ხელოვნებას სარგებელი კი არ მოაქვს, არამედ რყევის ადამიანს, ცოდნა საზიანოა, კულტურას არ მოაქვს ბედნიერება. რუსოს აზრით, ბოროტების ძირითადი წყარო სიმდიდრეა, სიმდიდრე კი ბადებს და ავითარებს მეცნიერებასა და ხელოვნებას. რუსოს თეორიის უკან დგანან კაპიტალიზმისაგან განადგურებული ხელოსნები, წვრილი ბურჟუები, წვრილი მესაკუთრეები. რუსო აიდეალებს პატრიარქალურ ურთიერთობებს, მას აშინებს კუონომიკური განვითარების ფართო გაქანება.

რუსოს აზრით, სახელმწიფოს წარმოშობამდე არსებობდა ადამიანთა „ბუნებრივი“ მდგომარეობა, რომელიც ყველა ადამიანი თანასწორი იყო. ამ დროს კერძო საკუთრება და პოლიტიკური ხელისუფლება არ არსებობდა, ხოლო ადამიანი კეთილი და სამართლიანი იყო, იგი მხოლოდ პოლიტიკურმა დაწესებულებამ აქცია ბოროტ და გაუტანელ არსებად.

რუსოს აზრით, საწარმოო იარაღების გამოგონებამ და გაუმჯობესებამ გამოიწვია ადამიანთა განცალკევება. ადამიანებმა ცალკე იწყეს მიწის დამუშავება, რის შედეგადაც წარმოშვა კერძო საკუთრება. კერძო საკუთრება საზოგადოებას ჰყოფს მდიდრებად და ღარიბებად, რომელთა შორის ბრძოლა მიმდინარეობდა, მაგრამ მათ არ გაუნადგურებიათ ერთმანეთი, არამედ შექმნეს სახელმწიფო. რუსოსათვის სახელმწიფო ადამიანთა შემოქმედების პროდუქტია. იგი ხელშეკრულების შედეგია. რუსო სვამს კითხვას. რომ უმჯობესი ხომ არ იქნებოდა ადამიანებს დაენგრიათ სახელმწიფო და დაბრუნებოდნენ ადრინდელ ოქროს საუკუნეს. ამ კითხვაზე იგი უარყოფითად პასუხობს. რუსოს აზრით, პრობლემა ის არის, რომ ადამიანებმა უნდა შექმნან ისეთი სახელმწიფო, სადაც ყველა თანასწორი იქნება. ასეთ სახელმწიფოდ რუსოს დემოკრატიული რესპუბლიკა მიაჩნია, რომელიც კანონმდებლობას შეიმუშავებს მთელი ხალხი, და მასში გამოხატულ იქნება საერთო ნება. ასეთ კანონებს ხალხი ნებაყოფლობით შეასრულებს, რადგან მათი ნების გამოხატულებაა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსო სახელმწიფოს საზოგადოებრივი ხელშეკრულების პროდუქტად თვლის. აქედან გამომდინარე, მას მიზან-ზეწონილად მიაჩნია ხალხის აჯანყება ხელშეკრულების დარღვევისას, მის შეუსრულებლობისას. რუსო, როგორც საფრანგეთის წვრილი ბურ-

უუაზის იდეოლოგი, ამართლებს საფრანგეთის ბურუუაზიულ რევოლუციის. რუსო განუყოფელი სუვერენიტეტის მომხრეა. მისი აზრით, სახელმწიფოში სუვერენიტეტი ეკუთვნის მთელ ხალხს. იგი ეწინააღმდეგება მონტესკიეს ხელისუფლების დანაწილების საკითხში.

რუსო სახალხო წარმომადგენლობის წინააღმდეგია, ე.ი. დეპუტატების წამოყენების. მისი აზრით, თითოეული ადამიანი პირადად უნდა მონაწილეობდეს ხელისუფლების განხორციელებაში. დეპუტატების გადაწყვეტილება ხალხმა უნდა დაამტკიცოს. სახელმწიფო წყობილების მხრივ მისი იდეალია პატარა პატრიარქალური სახელმწიფო. მის პროტოტიპად ასახელებს ძველ ბერძნულ დემოკრატიას.

მმართველობის მიხედვით რუსო ერთმანეთისაგან არჩევს: 1) მონარქიას, სადაც ერთ პირსა აქვს ხელისუფლება; 2) არისტოკრატია, ანუ რამდენიმე პირის გამგებლობა; 3) დემოკრატია, სადაც სახელმწიფო ხელისუფლება და აღმასრულებელი ხელისუფლება ხალხს ეკუთვნის.

რუსო ოცნებობდა ისეთ საზოგადოებშე, სადაც არ იქნებოდნენ არც მდიდრები, და არც ღარიბები, მაგრამ აქ კერძო საკუთრება შენარჩუნებული იქნებოდა, ე.ი. რუსო ფუფუნებისა და განცხრომის წინააღმდეგია. რუსო თვლიდა, რომ ამგვარი საზოგადოების მოწყობა შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ ასეთი საზოგადოების მოწყობის გზებსა და საშუალებებზე მას არ მიუთითებია.

§4. ვრანგი მატერიალისტების პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი

XVIII საუკუნის გამოჩენილ ფრანგ მატერიალისტთა რიცხვს მიეკუთვნებიან: ჰოლბაზი, ჰელვეციუსი, დიდრო.

ჰოლ ჰოლბაზი (1723-1789) დაიბადა ქალაქ ჰეიდელსპეიმში, ბადენში, წარმოშობით გერმანელია. განათლება ბავშვობიდანვე საფრანგეთში მიიღო და იქ ისტორიულია. იქვე გაატარა ცხოვრების უმეტესი ნაწილი. მისი შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე ჩამოყალიბებულია ნაშრომში „ბუნების სისტემა“ და ამას გარდა, უფრო დეტალურად შემდეგ თხზულ „ბეჭი: „ბუნებითი პალიტიკა“. (1773), „საზოგადოებრივი სისტემა“ (1773), „ზოგადი მორალი“ (1776).

XVIII საუკუნის იტალიაში პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებები

XVIII საუკუნის მიჯნაზე იტალიაში ორასწლიანი სოციალური სტაგნაციის შემდეგ, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ქვეყანა ფაქტობრივად გადაიქცა ესპანეთის სამეფოს პროვინციად, იწყება ეკონომიკური საქმიანობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების აქტივიზაცია. იმ პერიოდში ფორმირებადი ბურჟუაზიის იდეოლოგები იყენებდნენ სახალხო მასების უკმაყოფილებას ფეოდალური დაწესებულებებით და კაპიტალისტური წარმოების შეუფერხებელი განვითარების პირობების შექმნას მოითხოვდნენ, თუმცა სუსტად კონსოლიდირებული იტალიური ბურჟუაზია ფეოდალურ-კლერიკალურ წრეებთან ხშირად მიდიოდა კომპრომისებზე. ამ გაორებულ პოლიტიკურ პოზიციას იზიარებდნენ იტალიელი განმანათლებლები ჯ.ვიკო და ჩ.ბეკარია.

§1. ჯ.ვიკოს პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი

ჯამბატისტა ვიკოს (1668-1744) ისტორია ობიექტურ კანონზომიერ პროცესად მიაჩნია, რომელიც ციკლურად მიმდინარეობდა. ვიკოსათვის ისტორია არის ადამიანთა ქცევების უსასრულო მწერივი, თუმცა ამ ქცევებს წარმართავს განგება.

ვიკო თავის ძირითად ნაშრომში „ახალი მეცნიერების დაარსება ერის ზოგადი ბუნების შესახებ”, სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტების ახსნისათვის ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებას შეეცადა. მისი აზრით, განვლილი ისტორიული ციკლი შეიცავს სამ ფაზას: მისი საწყისი სტადიაა- ღვიაებრივი, ღმერთების ეპოქა. მან არ იცის სახელმწიფოებრიობა, არ იცის იურიდიული ნორმები. კანონებად აქ ითვლება მისტერიები და სამისნოთა წინასწარმეტყველებანი, რომლებიც ადამიანებს ღმერთების

ნებას ატყობინებენ. საზოგადოებას მართავენ ქურუმები. მატერიალური მოთხოვნები, ბრძოლა საწინააღმდეგო მისწრაფებათა შორის ამზადებს სახელმწიფოსა და კანონების წარმოშობას. სახელმწიფოს წარმოშობა ვიკოს მიხედვით განპირობებულია არა ინდივიდთა სუბიექტური განზრა-ხულობით, არა ადამიანთა სხვადასხვაგვარი ხრიკებითა და ფანდებით, არამედ ობიექტური აუცილებლობით.

ვიკო მკაცრად აკირიტიკებს ბუნებითი სამართლის თეორიის ხელოვ-ნურად აგებულ მსჯელობებს, კერძოდ, სახელმწიფოს წარმოშობის ხელ-შეკრულებით თეორიას და მსგავს აბსტრაქციებს. ვიკო არ აკავშირებს სახელმწიფოს წარმოშობას ხელშეკრულების დადებასთან. სახელმწიფო-ებრიობის თითოეული ფორმისათვის იგი მიუთითებს წარმოშობის საკუთარ მიზეზს.

ისტორიული ციკლის მეორე ფაზაზე, რომელსაც ვიკო გმირთა ეპოქას უწოდებს, სახელმწიფო არსებობს, როგორც არისტოკრატიის ხელისუფ-ლება, რომელიც კარნახობს ანგარებით გავერებულ სამართლებრივ ნორ-მებს და სასტიკად, დაუნდობლად თრგუნავს პლებეებს. სამართალი აქ უხე-ში ძალის სამართალია.

მესამე, საბოლოო ფაზა - ადამიანთა ეპოქა. მისთვის დამახასიათებე-ლია რესპუბლიკურ-დემოკრატიული წყობილებები, ანდა წარმომადგენ-ლობითი მონარქიები ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით, რომ-ლებიც უზრუნველყოფენ სახალხო სუვერენიტეტს. კანონები აქ ბრძნუ-ლად და მოქნილად უთავსებენ ერთმანეთს კერძო და საერთო ინტერესებს, ადგენენ ადამიანებს შორის იურიდიულ თანასწორობას.

ჯ. ვიკო შეკარად ბურჟუაზიული საზოგადოების მომხრეა, მისი შეხე-დულებანი იმ პერიოდში, როდესაც კაცობრიობა ჯერ კიდევ მიემართებოდა ამ საზოგადოებისაკენ, განსაკუთრებით პროგრესული იყო.

§2. ჩ. ბეპარიას პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი

ჩეზარე ბეკარია (1783-1794) სისხლის სამართლის მეცნიერებაში ე.წ. კლასიკური სკოლის ფუძემდებლად ითვლება. ჯ. ვიკოსაგან განსხვავებით, მან სწრაფად მოიპოვა აღიარება. იგი ავტორია ცნობილი ნშრომისა „და-ნაშაულთა და სასჯელთა შესახებ“. ბეკარია ბუნებით-სამართლებრივი დოქტრინის მომხრეა. იგი თვლიდა, რომ მუდმივმა ომებმა და თვითნებობამ

ბოლოს და ბოლოს დაღალა ინდივიდები და მათ თავისუფლების გარკვეული ნაწილი გაიღეს, გაერთიანდნენ, რათა წყნარად და უშიშრად დამტკბარიყვნენ მისი დარჩენილი ნაწილით. საერთო კეთილდღეობისათვის გაღებული თავისუფლების ნაწილთა ჯამბა ერის უმაღლესი ხელისუფლება შეადგინა, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ადამიანების ნორმალური არსებობა სამართლიანი კანონების კალთის ქვეშ, მაგრამ მშვიდობა და სამართლი არ არის, ირგვლივ ძალადობა და უუფლებობაა, რადგანაც კანონების უმრავლესობა სხვა არაუერია, თუ არა პრივილეგიები, ბეკარია, კერძოდ, აღშფოთებულია იმ მდგომარეობით, რომ ერთი და იმავე დანაშაულისათვის მდიდარი და ღარიბი სხვადასხვაგარად ისჯება. იგი კიცხავს ყოველგვარ წოდებრივ პრივილეგიებს და აცხადებს, რომ საძაც დიდებულები და ხელისუფალნი თავს დააღწევენ უმნიშვნელო სასჯელით, ხოლო ხალხი სასჯელის მთელ სიმძიმეს განიცდის, ირლვევა ყოველგვარი წარმოდგენებისათვის სამართლიანობაზე, კალტე და მათ ადგილს ძლიერის სამართლი იკავებს.

დანაშაულთა თავიდან აცილებისა და საზოგადოების გაჯანსაღების მიზნით ბეკარია არ გვთავაზობს ცხოვრების გარდაქმნას სრულიად ახალ პრინციპებზე. იგი საუბრობს ევროპის სამეფო ტახტებზე მსხდომ კეთილისმყოფელ მონარქებზე, რომლებიც მფარველობენ მეცნიერებას, ხელოვნებას, ცდილობენ სიღატაკის აღმოფხვრას, გამოთქვამენ მოსაზრებებს საყველოთა განათლებასა და კარგ აღზრდაზე, წერენ უბრალო, ბრძნულ კანონებს და მათ წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობაზე, მკაცრი კანონიერების აუცილებლობაზე და სხვა.

ბეკარია დარწმუნებულია ფეოდალური სისტემის უგუნურებაში. მისმა პროგრესულმა შეხედულებებმა სახელმწიფოსა და სამართლის მნიშვნელოვანი როლი ითამშა ევროპული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნების იდეოლოგიურ აღჭურვაში.

იდეები, გამოთქმული ნაშრომში „დანაშაულთა და სასჯელთა შესახებ“ (1764), სცილდება სისხლის სამართლებრივ პრობლემატიკას. ეს იდეები იცავენ ისეთ უნივერსალურ ღირებულებებს, როგორიცაა ადამიანის თავისუფლება, ღირსება, საზოგადოებრივი წესრიგი, რომელიც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს არა ზებუნებრივი და უხეში ძალით, არამედ სამართლიანი კანონებით, თვითდისციპლინითა და ინდივიდების მაღალი შეგნებით. ამით ჩეხარე ბეკარიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ევროპული განმანათლებლობის მიერ სამართლებრივი სახელმწიფოს თეორიისა და ლიბერალიზმის პრინციპების შემუშავებაში.

პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებანი
გერმანიაში XVIII საუკუნის დასასრულსა და
XIX საუკუნის დასაწყისში

§ 1. სამართლის ისტორიული სკოლის სახელწოდებით ცნობილი მოძღვ-

რება გერმანიაში წარმოიშვა. იგი საფრანგეთის ბურგუაზიული რევოლუ-
ციის იდეების დაგმობის, მისი რეაქციულად გამოცხადების გამოხატუ-
ლებას წარმოადგენდა.

მე-18 ს-ის დასასრულსა და მე-19 ს-ის დასაწყისში გერმანია თავისი
ეკონომიკური მდგომარეობითა და პოლიტიკური წყობით დასავლეთ ევ-
როპის ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანას წარმოადგენდა. გერმა-
ნიაში მთელი სისრულით იყო შემონახული ფეოდალურ-ბატონყმური
მეურნეობის წესი. მართალია, ამ ორი საუკუნის მიჯნაზე გერმანიაში იგრ-
ძნობოდა კაპიტალისტური წარმოების ჩასახვა და განვითარება, მაგრამ,
თავისთავად ეს პროცესი ძალიან ნელჩა და არათანაბრად მიმდინარეობდა.

შეიძლება ითქვას, რომ გერმანიაში საწარმოო გადატრიალება მე-19
ს-ის 40-იან წლებშიც მოხდა, მაგრამ ამის შემდეგაც ქვეყნა აგრარული
რჩებოდა, მოსახლეობის უმრავლესობა სოფლის მეურნეობაში იყო და-
საქმებული. სწორედ ამის გამო აღნიშნული პერიოდის გერმანიის ბურ-
უაზია მეტად სუსტი იყო. ისინი ვერ ბედავდნენ ფართო ეროვნული ამო-
ცანების გადაჭრის ~~და~~ყენებას და წვრილი, ადგილობრივი მნიშვნელობის
ამოცანებითა და ინტერესებით კმაყოფილდებოდნენ.

გერმანია პოლიტიკური წყობით დაქუცმაცებულ სახელმწიფოს წარ-
მოადგენდა. ცენტრალური ხელისუფლება ქვეყნის დაქუცმაცებულობის

გამო მეტად სუსტი იყო, სადაც გამგებლობდნენ მთავრები და ფეოდალები. განსაკუთრებით რეაქციული იყო იმ პერიოდის გერმანული მმართველობა. ამ დროს გერმანიაში სამხედრო პირებისა და ბიუროკრატის პოლიციური რეჟიმი სუფევდა, ხოლო გერმანიის კანონმდებლობა და სამართალი ფეოდალური ნიშნებით ხასიათდებოდა.

სამართლის ისტორიული სკოლის დამაარსებლად მიაჩნიათ გეტინგენის უნივერსიტეტის პროფესორი გუსტავ ჭუკო (1764-1844). თავის შრომაში „ბუნებითი სამართლის სახელმძღვანელო, როგორც დადგებითი სამართლის ფილოსოფია”, ჭუკო სვამს კითხვას, თუ როგორ წარმოიქმნება სამართალი და იქვე მიუთითებს, რომ სამართალი ზემოდან რეგულირდის გზით არ წარმოიქმნება, აზრს იმის შესახებ, თითქოს სამართალს ზემოდან ჩარევის გზით ქმნიან, ჭუკო „იურიდიულ ცრურწმენად” თვლის. ჭუკოს აზრით, მარტო კანონი როდია სამართლის ერთადერთი წყარო. სამართალი წარმოშობა არა მარტო კანონმდებლობის შედეგად, არამედ კანონმდებლის საქმიანობის გარეშეც. მაგალითად, ასე წარმოშობა ადათობრივი სამართალი, ასე წარმოშვა პრეტორული სამართალი და სხვ. უფრო მოგვიანებით ჭუკომ თავისი თვალსაზრისი ჩამოაყალიბა შრომაში „კანონები როდია იურიდიულ ჭეშმარიტებათა ერთადერთი წყარო”. ამ შრომაში ჭუკო ხაზგასმით მიუთითებს, რომ სამართალი ვითარდება ენასთან ერთად და ენისა და ჩვევების მსგავსად სამართალი ყალიბდება თავისთავად, ვინმეს ზემოდან ჩაურევლად.

სამართლის წარმოქმნას ჭუკო ადარებს თამაშობების წესების წარმოშობას. იგი მიუთითებს, რომ ბევრ თამაშობებში თამაშის წესები ყალიბდება მოთამაშეთა შეთანხმების გარეშე. ისინი ყალიბდება დროთა განმავლობაში სავარაუდო საკითხის ერთნაირად გადაწყვეტის გზით. მხოლოდ შემდგომ, პრაქტიკის ჩამოყალიბების შემდეგ, დგინდება მტკიცე წესები.

ჭუკოს შეხედულებები ემსახურებოდა დაუწერელი ფეოდალური სამართლის დაცვას. იგი მიმართული იყო ბუნებითი სამართლის პროგრესულ მოთხოვნათა წინააღმდეგ.

ჭუკო მიუთითებს, რომ ხშირად კანონში რაც სწერია, ცხოვრებაში არ ხორციელდება, ე.ი. კანონის მოთხოვნა ცხოვრებაში სხვანაირად ხორციელდება. ასეთი მდგომარეობა ჭუკოს სრულიად ნორმალურად არ მიაჩნია. მას დაწერილი კანონების შემოღება აუცილებლად არ მიაჩნია,

რადგან ადამიანებმა ხშირად არ იციან და არც წაუკითხავთ კანონები, მაშინ, როდესაც ცხოვრების ფაქტობრივ წესებს თითოეული ძალიან კარგად იცნობს. პუგო ასაბუთებს ადათობრივი სამართლის უპირატესობას პოზიტიურ სამართალზე.

პუგოს მოძღვრება ყველაფერი არსებულის შეკარა აპოლოგია, შეკარა გამართლებაა. იგი მონობას იმით ამართლებს, რომ მონობა არსებობდა ათასწლობით თვით ყველაზე „განათლებულ” ხალხებს შორისაც და მოწონებული იყო ბრძენი ადამიანის მიერ.

პუგოს იდეებს შემდგომი განვითარება მისცა ცნობილმა გერმანელმა ცივილისტმა, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორმა - კარლ სავინიძე (1779-1861). კარლ სავინი არის ავტორი 6 ტომიანი შრომისა „თანამედროვე რომის სამართლის სისტემა”. სავინის თავისი შეხედულებების ჩამოსაყალიბებლად ბიძგი მისცა 1814 წელს გერმანელი იურისტის ტიბოს მიერ გამოცემულმა შრომამ „ერთიანი სამოქალაქო სამართლის აუცილებლობა გერმანიისათვის”, რომელშიაც ტიბო მოითხოვდა ერთიანი გერმანული კოდექსის შექმნას, რომელიც შეცვლიდა ადათობრივ სამართალს და დაიცავდა ფეოდალურ ურთიერთობებს.

სავინი გამოვიდა ტიბოს წინააღმდეგ ბროშურით: „ჩვენი ღროის მოწოდება კანონმდებლობისა და სამართალმცოდნეობისაკენ”, რომელშიაც იგი აკრიტიკებს ტიბოს და საყვედურობს, რომ მან უარყო ისტორიული წარსული, ამასთან, დააყენა საკითხი იმ იდეალური კანონმდებლობის შესამუშავებლად, რომელიც ყველასათვის სასარგებლო იქნებოდა.

სავინის აზრით, სამართალს, ისევე როგორც ენას, როგორც ჩვევებს, აქვს მოცემული კონკრეტული ხალხისათვის დამახასიათებელი ნიშნები. სამართალი კანონმდებლის თვითნებობის შედეგი კი არ არის, არამედ „სახალხო სულის” შემადგენელი პროდუქტი, ხალხის შეგნების ნაწილია.

სავინი საკანონმდებლო შემოქმედების წინააღმდეგია. ამასთან, აღნიშნავს, რომ სამართალი მუდმივად და კანონზომიერად ვითარდება, იგი არის შინაგანი ძალების მოქმედების პროდუქტი. მიუხედავად ამისა, სავინის არ შეუძლია უარყოს იურისტების როლი სამართლის დამუშავების საქმეში. სწორედ ამის გამო სამართალს ორ ნაწილად ჰყოფს: 1) ბუნებრივი სამართალი და 2) მეცნიერული სამართალი. სავინის აზრით, პირველი, ე.ი. ბუნებრივი სამართალი დამოუკიდებელია, სოლო მეორე, ანუ მეცნიე-

რული, გამოხატულებას პოულობს იურისტი მეცნიერების შეგნებაში. აქედან გამომდინარე, სავინი სამართალს, ერთი მხრივ, მიიჩნევს ზაღხის ცხოვრების ნაწილად, ხოლო მეორე მხრივ, - როგორც განსაკუთრებულ მეცნიერებას იურისტთა ხელში.

სავინის მოძღვრება წინააღმდეგობებითაა სავსე. მაგალითად, სამართალი მას მიაჩნია დამოუკიდებელ სუბიექტურ მოვლენად, თუმცა მისი განვითარება შეიძლება იურისტთა ჩარევის გზით, ამასთან, იურისტთა ჩარევას სამართლის გასავითარებლად სავინის არასასურველად მიაჩნია.

სამართლის ისტორიული სკოლის იდეებს იცავდა ასევე სავინის მიმდევარი გეორგ ფრიდრიხ პუხტა (1798-1846). იგი ბერლინის უნივერსიტეტში სავინთან ერთად მუშაობდა კათედრაზე. პუხტამ თავისი შეხედულებანი ჩამოაყალიბა შრომაში „ადათობრივი სამართალი“ (1828). ასევე „ინსტიტუციების კურსის“ შესავალ ნაწილში. სავინის მსგავსად პუხტაც ასაბუთებდა, რომ სამართალი ზაღხის სულის პროდუქტია, „ზაღხების თავისებურებანი გამოხატულებას პოულობს სამართალში ისე, როგორც ენასა და ჩვევებში“. პუხტა არ ცნობს საზოგადოების კლასობრიობას და იგი სამართალს მიიჩნევს „ზაღხის საერთო შეგნების გამოვლინებას“. მისი აზრით, სამართლის ნორმა აუცილებელია იმის გამო, რომ იგი საერთო შეგნების გამოხატულებაა. ეს თვალსაზრისი მიგვანიშნებს პუხტას მიერ ადათობრივი სამართლის მოწონებაზე. მართლაც, პუხტას აზრით, ადათი, რომელსაც ყველა თავისი ნებას ასრულებს - არის სამართლის პირველი და ნამდვილი წყარო. პუხტა სამართალს განიხილავს დამოუკიდებელ მოვლენად, რომელსაც თავისი ისტორია გააჩნია.

პუხტას აზრით, სახელმწიფო იმავე მიზეზებით წარმოიშვა როგორც სამართალი. სახელმწიფოსაც საფუძვლად უდევს „სახალხო სული“. „სახალხო სული წარმოშობს სახელმწიფოს, ისევე როგორც სამართალს“. სახელმწიფოს განვითარება სამართლის მსგავსად ხდება. საბოლოო ჯამში, სახელმწიფოსაც და სამართალსაც ღვთაებრივი წარმოშობა აქვს - დაასკვინის პუხტა.

შემდგომში მე-20 საუკუნეში, ახლებურად იქნა გამოყენებული სამართლის ისტორიული სკოლის ზოგიერთი ძირითადი დებულება, მაგ., გერმანელმა ფაშისტებმა ხელი ჩასჭიდეს ამ სკოლისათვის დამახასიათებელ ნაციონალურობას, ხოლო ამერიკელმა იურისტებმა სამართლის განსაზღვ-

რისათვის ყურადღება მიაქციეს ფაქტობრივ მდგომარეობას და არა სა-
მართლის ნორმას.

**§2. XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის
დასაწყისის გერმანული იდეალიზმის
ტარომადგენელთა შეხედულებანი
სახელმწიფო და სამართლალი**

მე-18 ს-ის დასასრულისა და მე-19 ს-ის დასაწყისის გერმანული იდე-
ალიზმის წარმომადგენელთაგან სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ
შეხედულებები მოცემულია კანტის, ფიხტესა და ჰეგელის ფილოსოფიაში.

გერმანული იდეალიზმის პოლიტიკური მიმართულება, საბოლოო
ჯამში, გერმანიის ისტორიული პირობებით განისაზღვრებოდა, ამიტომ
მოკლედ განვიხილოთ აღნიშნული პერიოდის გერმანიის სოციალურ-პო-
ლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა. აღნიშნულ პერიოდში გერმა-
ნიაში კაპიტალიზმი ვითარდება, მაგრამ ბურჟუაზია ჯერ კიდევ მყარად
კონსოლიდირებული კლასი არ არის. გერმანია არ წარმოადგენდა ცენტ-
რალიზებულ სახელმწიფოს. ვაჭრები და ფაბრიკანტები ეკონომიკურად
დაკავშირებულნი იყვნენ ფეოდალებსა და სასახლის დიდკაცობასთან. ეს
უკანასკნელნი ბურჟუაზიის ძირითად მომხმარებლებს წარმოადგენდნენ.
ამ გარემოებამ განაპირობა ბურჟუაზიის დამოკიდებულება თავადაზნაუ-
რობაზე. დამდაბლებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა გერმანელი ინტე-
ლიგენციაც. გერმანელი მეცნიერები, მწერლები სასახლის კარხე მოღ-
ვაწეობდნენ და, ამდენად, მეფისა და თავადაზნაურობის ინტერესებს გა-
მოხატავდნენ.

მე-19 საუკუნის დასაწყისში გერმანიაში შეიქრა საფრანგეთის ბურ-
ჟუაზიული რევოლუციის იდეები, მაგრამ გერმანიის ბურჟუაზიის იდეო-
ლოგთა უმრავლესობას არ მოუწონებია ეს იდეები, პირიქით, ზოგიერთი
გერმანელი ბურჟუაზიული იდეოლოგი კიდევაც უარყოფდა მათ.

1) იმანუელ კანტი (1724-1804) მე-18 ს-ის დასასრულისა და მე-19
ს-ის დასაწყისის გერმანული იდეალიზმის ფიქტურად ითვლება.

კანტს გამოთქმული აქვს თავისი მოსაზრებანი საზოგადოების, სახელმ-

წიფოსა და სამართლის შესახებ.

კანტის აზრით, საზოგადოების მიხანია თავისუფლებისა და სამართლიანობის მიღწევა. ამასთან, საზოგადოებას არ შეუძლია მიაღწიოს თავისუფლებასა და სამართლიანობას ოცნებულუციის გზით, იგი მშვიდობიანი, ეცოლუციის გზით უნდა განხორციელდეს.

კანტის აზრით, სამართლის ნორმები აბსოლუტურად დამოუკიდებელია საზოგადოების განვითარების კანონებისაგან. სამართლის ნორმები გამოხატავენ, ან წარმოადგენენ „სათანადოს“ შესრულების მოთხოვნას, მაშინ, როდესაც ბუნების კანონები გამოხატავენ აუცილებელს და რომელთა მიმართ ადამიანის ნება უძლურია.

კანტის მიხედვით სამართალი ობიექტურად წარმოადგენს გარკვეულ პირობათა ერთობლიობას, რომლის მიხედვით ერთი ადამიანის თვითნებობა შეთანხმებულ უნდა იქნეს მეორე ადამიანის თვითნებობასთან, სუბიექტურად. კი სამართლის ნორმას საფუძვლად უდევს პრინციპი, რომელიც შემდეგი ფორმულით გამოიხატება: მოიქეცი ან იმოქმედე ისე, რომ შენი თვითნებობის თავისუფალი გამოვლინება შეთანხმებულ იქნეს თითოეულის თავისუფლებასთან. კანტი ერთმანეთს უპირისპირებს ლეგალურ და მორალურ ქცევებს. ლეგალურია ისეთი ქცევა, რომელიც შეთანხმებულია იურიდიულ ნორმასთან, ხოლო მორალურია ისეთი ქცევა, რომელიც მოითხოვს კანონის შესრულებას შინაგანი მოვალეობის შეგრძნების ძალით, ამიტომ კანტის მიერ სამართალი გაგებულია, როგორც ქცევების რეგულატორი, რომლისთვისაც სულ ერთია, განურჩეველია ქმედების სუბიექტური მხარე, მისი წამბიძგებელი მოტივი. სამართალისათვის დამახასიათებელია იძულება, რაც არაა დამახასიათებელი მორალისათვის. მორალის კანონები დაფუძნებულია მოვალეობის შინაგან თავისუფალ შეგნებაზე.

კანტი ერთმანეთისაგან განასხვავებს დადებით სამართალს, ბუნებით სამართალსა და სამართლიანობას. ბუნებით სამართალს კანტი თავის მხრივ ჰყოფს კერძო და საჯარო სამართლად. კერძო სამართლად კანტის მიაჩნია სამართლებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა ბუნებით მდგომარეობაში, სადაც ადამიანებს, როგორც ინდივიდებს ერთმანეთთან გარკვეული ურთიერთობა აა ქვთ. საჯარო სამართლებრივ კანტი გულასხმობს ისეთ სამართლებრივ ურთიერთობებს, რომელსაც ადგილი აქვს ადამიანთა

შორის სახელმწიფოში. საჯარო სამართლად კანტს მიაჩნია სახელმწიფო
სამართალი, სისხლის სამართალი და საერთაშორისო სამართალი.

კანტის აზრით, კერძო სამართლის სფეროა „ჩემი” და „შენი”. ამ ურ-
თიერთობას საფუძვლად უდევს კერძო საკუთრება. კერძო სამართლის ობი-
ექტად, კანტის აზრით, შეიძლება იყოს ნივთი, მოქმედება, ან თვით პირი,
ამიტომ კერძო სამართალს კანტი ჰყოფს პიროვნულ და პიროვნულ-ნივ-
თობრივ სამართლად.

კანტი საკუთრების შესახებ მოძღვრებაში იცავს ბურუუაზის სასი-
ცოცხლო ინტერესებს. იგი ამტკიცებს, რომ სახელმწიფოში ყოველგვარი
საკუთრება კერძო საკუთრებაა. კანტს დაუშვებლად მიაჩნია პრივილეგი-
ების არსებობა საკუთრების შესაძნად, ამიტომ, მისი აზრით, სახელმწი-
ფომ სეკულარიზაცია უნდა უყოს საეკლესიო მიწებს. ასევე არასამართ-
ლიანად მიაჩნია კანტს რაინდებისა და სამღვდელოების ორდენთა საკუთ-
რების სახესხვაობა.

განვიხილოთ კანტის შეხედულებანი სახელმწიფოშე.

სახელმწიფო, კანტის აზრით, შეთანხმების შედეგია. ამ შეთანხმებას
კანტი უწოდებს პირველდაწყებით ხელშეკრულებას. სხვა ადგილზე კანტი
სახელმწიფოს განმარტავს, როგორც მცირე ან დიდი რიცხვის ადამიანთა
გაერთიანებას სამართლის ზეგავლენით. სწორედ აქედან გამომდინარე-
ობს კანტის სამართლებრივი სახელმწიფოს ცნება. კანტს სახელმწიფო
მიაჩნია სუფთა სამართლებრივ ორგანიზაციად. სახელმწიფოს მიზანი ადა-
მიანთა ბედნიერება კი არ არის, არამედ სამართლის იდეების ზეიმია, სა-
ხელმწიფოს შექმნა კატეგორიული იმპერატივის მოთხოვნაა.

კანტი ეთანხმება რუსოს იმპერია, რომ სუვერენიტეტი ხალხს ეკუთვნის.
ამასთან, კანტს მიზანშეწონილად არ მიაჩნია პოლიტიკური უფლება მიე-
ცეს ყველას. მისი აზრით, პოლიტიკური უფლებები უნდა მიეცეს საზოგა-
დოების „აქტიურ” წევრებს. საზოგადოების „პასიურ” წევრებად კანტს
მიაჩნია მუშები, ხელოსნები, ქალები, შინამოსამსახურეები და სხვ.

კანტი მმართველობის ფორმების კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს
ორ ნიშანს: 1) კანონმდებლობის შემმუშავებელ პირთა რაოდენობა და 2)
სახელმწიფოში ხელისუფლების დანაწილების არსებობა თუ არარსებობა.

3. რველი ნიშნის მიხედვით კანტი იძლევა მმართველობის შემდეგ
ფორმებს: 1) ავტოკრატია, ანუ აბსოლუტური მონარქია; 2) არისტოკრა-

ტია; 3) დემოკრატია. გარდა ამისა, კანტი მმართველობის ფორმებს პყოფს რესპუბლიკურ და დესპოტურ ფორმებად. რესპუბლიკაში ადგილი აქვს ხელისუფლების დანაწილებას, ხოლო დესპოტიაში - არა.

კანტის მმართველობის საუკეთესო ფორმად მიაჩნია ავტოკრატია, ანუ აბსოლუტური მონარქია, რადგანაც იგი შედარებით მარტივია. დემოკრატია ცუდია იმით, რომ იგი მმართველობის რთული ფორმაა. კანტი მიუ-თითოებს, რომ შესაძლებელია აბსოლუტური მონარქია გადაისარდოს დეს-პოტიზმში, მაგრამ დიდსულოვან მეფეს შეუძლია ლაგამი ამოსდოს ამას და სამართლიანობა დაამყაროს. აბსოლუტური მონარქიიდან კონსტიტუ-ციურ მონარქიაზე გადასვლა მხოლოდ რეფორმების გატარების გზით კანტის დასაშვებად მიაჩნია. სახელმწიფოს ფორმის შეცვლა რევოლუციის გზით შეუძლებელია იმის გამო, რომ სახელმწიფო წყობილება და კანონები ხელშეუხებელია. ხალხს უფლება არა აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს უმაღლეს ხელისუფლებას. აქ წინააღმდეგობას აქვს აღგილი იმ მხრივ, რომ კანტი ეთანხმება რესოს, რომ სუვერენიტეტი უნდა ეკუთვნოდეს ხალხს. აქ კი მის საწინააღმდეგო მოსახრებას ავითარებს.

სახელმწიფო, კანტის აზრით, აკანონებს საკუთრებას, მაგრამ თვით სახელმწიფო ხელისუფლებას არ შეიძლება პქნონდეს საკუთრება, რადგან ასეთ დროს მას შეუძლია ხელში ჩაიგდოს მოელი საკუთრება და ამით მოსპოს კიდევაც იგი. საკუთრების დაცვა უნდა განახორციელოს პოლი-ციამ. პოლიციის მოვალეობაა არა მარტო საზოგადოებრივი წესრიგის დამ-ყარება, არამედ საზოგადოების კეთილდღეობისადმი მუდმივი მეთვალ-ყურეობა.

სისხლის სამართალში კანტი გვევლინება სამართლის კლასიკური სკო-ლის იდეების შეკარა გამომხატველად. ამ სკოლის იდეების მსგავსად კანტ-საც მიაჩნია, რომ დანაშაული არის სამართლიანობის დარღვევა, ხოლო სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა. კანტი მიუთითობს, რომ თუ დანაშაული დაუსჯელი რჩება, მშინ დედამიწაზე ადამიანების სიცოცხლე აღარ ღირს. სისხლის სამართლის კანონი არის კანტის კატეგორიული იმპერატივი და ამ კანონის მოთხოვნა აუცილებელია. კანტს მოჰყავს ასე-თი მაგალითი: თუ რომელიმე ხალხმა, რომელიც კუნძულზე ცხოვრობს, გადაწყვიტა მიატო, ის კუნძული და სხვაგან გადავიდეს საცხოვრებლად, ამასთან, თუ ამ კუნძულზე ციხეში მოთავსებულია მკვლელი - იგი სიკვ-

დილით უნდა დაისაჯოს ხალხის წასკვლამდე, რათა არავინ გაექცეს სახ-ჯელს. აქედან დასკვნა: კანტის აზრით, ყველა დანაშაულებრივ მოქმედებას აუცილებლად უნდა შეეფარდოს სასჯელი. ამასთან, დასჯის პრინციპი უნდა იყოს დანაშაულისა და სასჯელის თანაფარდობა.

კანტის პროგრესული იდეები გააჩნია საერთაშორისო სამართლის დარგში. მაგალითად, მართლზომიერად მიაჩნია მას თავდაცვითი ომები. რადგან ამით ხალხი იცავს დამოუკიდებლობას. კანტი მოითხოვს ომის სამართლიანი წესებით წარმოებას. მას დაუშვებლად მიაჩნია ჯაშუშობა, დივერსია, ძარცვა და სხვ. ხალხი უნდა იცავდეს მშვიდობას თუ არ ხედავს ომის წარმოების აუცილებლობას. ომის მიზანი, კანტის აზრით, უნდა იყოს მშვიდობიანობის აღდგენა, რადგან კაცობრიობის მიზანი მუდმივი მშვიდობაა. თავის სტატიაში „მუდმივი მშვიდობისაკენ“ კანტმა წამოაყენა ხალხთა შორის მშვიდობის უზრუნველყოფის პროექტი, რისთვისაც, კანტის აზრით, სახელმწიფოთა შორის ჯერ უნდა დაიღოს ხელშეკრულება მშვიდობიანი თანაარსებობის ხელისშემშლელი მიზეზების აღსაკვეთად, ხოლო შემდეგ საბოლოო ხელშეკრულება, რომლითაც შეიიქმნება სახელმწიფოთა კავშირი და განისაზღვრება ასეთი სახელმწიფოებრივი ფორმა.

კანტი წინადაღებას იძლეოდა ჩამოყალიბებინათ სახელმწიფოთა ფედერაცია. ამასთან, ფედერაციიში შემავალ თითოეულ სახელმწიფოს უნდა ჰქონოდა რესპუბლიკური წყობა.

ამრიგად, კანტის მოძღვრებაში გამოხატულებას პოულობს ბურჟუაზიული იდეები, რომელიც ებრძვის ფეოდალურ იდეოლოგიას, მოითხოვს ფეოდალური წესწყობილების ბურჟუაზიულით შეცვლას მშვიდობიანი გზით.

2) ფრიდრიხ პეგელის (1770-1831) ფილოსოფია გერმანული იდეალიზმის უმაღლეს წერტილს წარმოადგენს.

პეგელის ფილოსოფიამ და მისმა მოძღვრებამ სახელმწიფოსა და სამართალზე უდიდესი გავლენა იქონია ფილოსოფიისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებაზე საერთოდ. პეგელის მოძღვრებამ ასევე უდიდესი გავლენა იქონია რუსეთშიც. რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა ბელინსკიმ, გერცენმა, ოგარიოვმა და სხვებმა პეგელის ძლიერი გავლენა განიცადეს, ამასთან, უდიდესი მნიშვნელობა მიან ჭეს მას.

პეგელის მოძღვრება სახელმწიფოსა და სამართალზე ჩამოყალიბდა

მაშინ, როდესაც ადგილი პქონდა მეტად დიდ ისტორიულ მოვლენებს ევ-როპაში, კერძოდ, საფრანგეთის ბურუუაზიულ რევოლუციას, მის დასრულებას ბონაპარტიშმით, ბურბონების რესტავრაციას. ე.წ., „საღვთო კავშირის” რეაქციულ მოღვაწეობას, მაგრამ პეგელის მოძღვრება, ძირითადად, გერმანიის სოციალურ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ განაპირობა, რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ.

პეგელის შეხედულებანი საზოგადოების, სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ საბოლოოდ ჩამოყალიბდა 1821 წლიდან. ეს საკითხები გადმოცემულია ნაშრომში, რომელსაც შემოკლებით „სამართლის ფილოსოფია” ეწოდება. უნდა მივუთითოთ, რომ პეგელის ეს ნაშრომი მისი შეხედულებების ხანგრძლივი ევოლუციის შედეგია, ევოლუცია კი იმაში მდგომარეობდა, რომ პეგელმა კავშირი გაწყვიტა ბუნებითი სამართლის მოძღვრებასთან ძირითად საკითხებში, ასევე კავშირი გაწყვიტა კანტისა და ფიხტეს მოძღვრებებთან სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებში. პეგელი სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებს აგებს თავის ფილოსოფიულ თეზისზე „რაც არსებულია, გონიერია და რაც გონიერია, ის არსებულია”. ამ თეზისით პეგელმა პირი იბრუნა ბუნებითი სამართლის ძირითადი პრინციპისაგან, რომელიც ბუნებით სამართალს დადებით, ანუ არსებულ სამართალს უპირისპირებდა. პეგელის აზრით, სამართალი არის „თავისუფალი ნების სახეზე ყოფნა”, რომელიც მთელი რიგი აღმავალი საფეხურების გავლის შემდეგ ხორციელდება.

პირველი საფეხური გამოხატულებას პოულობს პიროვნების მიერ ნივთის მფლობელობაში და პიროვნების სხვებთან ურთიერთობაში საკუროების გამო ან სამართალდარღვევის გამო. ამ საფეხურს პეგელი უწოდებს აბსტრაქტულ სამართალს, რომელიც მოიცავს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სფეროს და სისხლის სამართლის საფუძვლებს;

მეორე საფეხური წარმოადგენს პიროვნებისა და მისი ქმედების ურთიერთდამოკიდებულებას. ამ საფეხურს პეგელი უწოდებს მორალს. მორალი მოითხოვს სიკეთისა და ბოროტების შესახებ სუბიექტური განსჯის ობიექტურ შეფასებას. მორალი გადადის უმაღლეს საფეხურში - ზნეობში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული რომ უფრო გასაგები იყოს, საჭიროა ასე ჩოვაყალიბოთ:

პეგელი ერთმანეთისაგან განასხვავებს სამართლის ცნებას ფართო და

ვიწრო გაგებით. ვიწრო გაგებით სამართალი, ანუ აბსტრაქტული სამართალი არეგულირებს ადამიანთა ურთიერთობას, ანუ მათ დამოკიდებულებას ნივთებისადმი, ხოლო სამართალი ფართო გაგებით მოიცავს საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელ სფეროს. იგი მოიცავს სახელმწიფოსაც და მსოფლიო ისტორიასაც. მორალი და ზნეობა ერთმანეთს არ ემთხვევა. ჰეგელის აზრით, მორალი არის პირის მიერ სიკეთისა და ბოროტების სუბიექტური შეფასება, ხოლო ზნეობა ის წესრიგია, რომელიც მყარდება ადამიანთა სხვადასხვა ურთიერთობის შედეგად, მაგ., ოჯახში, საზოგადოებში, სახელმწიფოში, სახელმწიფოთა შორის და სხვა.

აბსტრაქტული სამართლის შესახებ მოძღვრებაში ჰეგელი გადმოგვცემს ბურუჟაზიულ იდეებს. მაგალითად, კერძო საკუთრებას იგი ადამიანისაგან მოუწყვეტლად, განუშორებლად აცხადებს. ჰეგელი იცავდა არსებულ უთანასწორობას და მიუთითებდა, რომ ადამიანები შეიძლება მხოლოდ იურიდიულად იყვნენ თანასწორნი, ადამიანთა ფაქტობრივი უთანასწორობის მიზეზი თვით ადამიანთა შორის განსხვავებაა.

ჰეგელი ეხება სამართალდარღვევის მიზეზებს და მიუთითებს, რომ აქ კერძო ნება ეწინააღმდეგება საერთო ნებას, რითაც ირღვევა სამართალი. დანაშაული ჰეგელს უსამართლობად მიაჩნია. დანაშაული სამართლის უარყოფას წარმოადგენს და ამ უარყოფის აღდგენა ისევ სამართლის უარყოფის უარყოფით შეიძლება, ე.ი. სასჯელით. ჰეგელი სასჯელს უყრებს, როგორც თვითმიზანს და უარყოფს შეხედულებას, რომლის მიზედვით სასჯელი არის დაშინება ან გამოსწორების საშუალება და სხვ. ამით ჰეგელი უარყოფს ანსელმ ფონიერბაზის შეხედულებას სასჯელზე, რომ სასჯელი არის დაშინება.

ჰეგელის აზრით, სასჯელი სამაგიეროს მიზღვაა. ამასთან, ჰეგელი უარყოფს ტალიონის უხეშ პრინციპს, ჰეგელის აზრით, სამაგიეროს მიზღვა არ არის შერისძიება. სასჯელი ახორციელებს სამართლიანობის მოთხოვნას. სასჯელის შეფარდებას ჰეგელი აუცილებლად მოითხოვს. კიდევ მეტი, დასჯას იგი დამნაშავის უფლებას უწოდებს, რადგან ამ უკანასკნელმა დანაშაულის სახით განახორციელა საკუთარი ნების აქტი, რომელიც უარყოფს სამართალს და რომელსაც უნდა მოჰყვეს უარყოფის უარყოფა, ე.ი. სამართლის აღდგენა სასჯელის გზით.

ჰეგელი თავის შეხედულებებში სისხლის სამართლის ისეთ კარდი-

ნალურ საკითხებს ეხება, როგორიცაა ბრალი და მისი ფორმები. უპირველეს ყოვლისა, ჰეგელი ერთმანეთისაგან განასხვავებს ორი სახის ქცევას: მოქმედებას და მორალურ ქცევას. მისი აზრით, ბრალი მხოლოდ მორალურ ქცევებია, ამიტომ ჰეგელი ლაპარაკობს მარტო ბრალის ერთ ფორმაზე, კერძოდ, განზრახვაზე და არ მოიხსენიებს გაუფრთხილებლობას.

ერთობ მოძველებულია ჰეგელის შეხედულება ქალთა მდგომარეობაზე. მაგალითად, ჰეგელი ქალის დანიშნულებად ოჯახში ყოფნას თვლის. მისი აზრით, თუ ქალი მოხვდება სახელმწიფოს სათავეში, მაშინ ამ სახელმწიფოს სამიმროება ემუქრება. ჰეგელი მიუთითებს, რომ ქალები ფილოსოფიური მეცნიერებისათვის უვარვისნი არიან. ადარებს რა მამაკაცებსა და ქალებს, ჰეგელი მიუთითებს, რომ მათ მორის ისეთივე განსხვავებაა, რაც მცენარეებსა და ცხოველებს შორის.

ჰეგელის აზრით, სახელმწიფო არის საფუძველი როგორც ოჯახის, ასევე სამოქალაქო საზოგადოებისაც, რადგან სახელმწიფო არის მთელი, ხოლო დანარჩენი კი ნაწილებია და მთელი კი ყოველთვის უსწრებს წილადს.

ჰეგელი კატეგორიულად უარყოფს სახელმწიფოს ბუნებით სამართლებრივ კონცეფციას. მისი აზრით, სახელმწიფო სრულიადაც არ არის ხალხის ბედნიერების, მისი ინტერესების დაცვის საშუალება. სახელმწიფო კი არ ემსახურება, არამედ მბრძანებლობს, იგი საშუალება კი არ არის, არამედ - მიზანია.

ინტერესს იწვევს ჰეგელის შეხედულებანი სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებსა და ომებზე. სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის აუცილებლობას ჰეგელი ხედავს და თვლის მას, როგორც „მსოფლიოს სულის“ გამოვლინებას. ამასთან ერთად, ჰეგელი გამოთქვამს რეაქციულ შეხედულებებსაც. მაგ., იგი მიუთითებს, რომ ომები სასარგებლო და აუცილებელია თვით ქვეყნის შიგნით სიმშვიდისათვის. ხალხი გარევანი თავდაცვის მიზეზით ივიწყებს ქვეყნის შიგნით რევოლუციურ მოძრაობას და, ამდენად, მყარდება მშვიდობა. ჰეგელი აკრიტიკებს კანტის „მუდმივი მშვიდობიანობის“ თეორიას. ჰეგელს არ მიაჩნია საჭიროდ, რომ შეიქმნას საერთაშორისო უშიშროების გარანტიები. მიუხედავად ამისა, ჰეგელი მოითხოვდა სართაშორისო ხელშეკრულების დაცვასა და შესრულებას.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას. რომ ჰეგელი აკრიტიკებდა სამართ-

ლის ისტორიულ სკოლასაც.

ჰეგელი იღმდენი სამართლის ისტორიული სკოლის წინააღმდეგ, რომლის მიხედვით ადათი სამართალზე წინ უნდა იდგეს. ჰეგელი მიუთითებს, რომ ადათობრივი სამართალი შემთხვევებითაა სავსე და ნაკლებადაა განსაზილველი, მას არა აქვს ზოგადი ზასიათი. ჰეგელი აკრიტიკებს სავინის, რომელიც უარყოფდა ერთიანი გერმანული სამართლის შემუშავებას. ასეთი სამართლის შემუშავებას ჰეგელი აუცილებლობით ხსნის, მისი აზრით, ქვეყნის გამგებლები, რომლებმაც იუსტინიანეს მსგავსად თავის ხალხს დაუტოვეს, თუნდაც არასისტემატიზებული, მოუწესრიგებელი კანონები, ისინი ხალხისათვის მაინც კეთილისმოქმედნი არიან. ჰეგელი გმობს ინგლისურ სამართალს, განსაკუთრებით ინგლისურ საერთო სამართალს (common law), რომელიც არევ-დარევის საფუძველია და რომელიც გზას უხსნის მოსამართლეთა თვითნებობას.

ჰეგელი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსა და სასამართლო საჯარობას ემხრობა.

დაბოლოს, უნდა დავასკვნათ, რომ ჰეგელის ფილოსოფია მთელი რიგი რეაქციულ და კონსერვატიულ შეხედულებათა მიუხედავად, დიდი განძია კაცობრიობის ისტორიისათვის, როგორც ძვირფასი კულტურული მემკვიდრეობა.